საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3615/01
13/04/2021

3615-01-2-202104131426

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას"
მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 76 ბ

სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმნის საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნებაზე ჩატარებული კვლევების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, ბიომრავალფეროვნების შეფასების კუთხით დოკუმენტში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია, სადაც არ ჩანს კვლევისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია, ჩატარებული კვლევის ხანგრძლივობა, ფოტომასალა, კვლევის შედეგები, მათ შორის კვლევის პერიოდში ნანახი სახეობები და ჰაბიტატები, მათი მდგომარეობა, მათზე მოსალოდნელი ზემოქმედება, ზემოქმედების თავიდან აცილების/შერბილების კონკრეტული ქმედებები და ა.შ;
- გზშ-ის ანგარიშში ბიომრავალფეროვნებისა და დაცული ტერიტორიების თავში (გვ. 82) წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესახებ ზოგადი სახისაა, რაც არ არის საკმარისი სრულყოფილად შეფასებისთვის. გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული პროექტით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედება ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე არსებულ სახეობებზე/ჰაბიტატებზე და წარმოდგენილ იქნეს სათანადო შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სამუშაოები მიზანშეწონილია განხორციელდეს მძიმე ტექნიკის გამოყენების გარეშე შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში და სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები გატანილი იქნეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან;
- მდ. ოცხეს იქთიოფაუნასთან დაკავშირებით, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში განხორციელდა მდინარის იქთიოფაუნის შესწავლა გამოკითხვის მეთოდით და ასევე საკონტროლო ჭერებით." თუმცა არ არის წარმოდგენილი აღნიშნული კვლევის შედეგები, შესაბამისი რეკომენდაციები და ა.შ;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების თავში (გვ. 162), ფაუნასთან მიმართებით აღნიშნულია, რომ ტერიტორიის შესწავლა განხორციელდა ორ სეზონზე (ზამთარში და ზაფხულში) და ფაუნის არცერთი სახეობა ან მისი არსებობის რაიმე დამადასტურებელი ნიშანი არ გამოვლენილა. ვინაიდან სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, რომელიც თავის მხრივ გამოირჩევა ფაუნის წარმომადგენლების სიმრავლით, ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები საჭიროებს დამატებით დასაბუთებას. რაც შეეხება ფლორას, გზშ-ის ანგარიშში (გვ. 162) მითითებულია, რომ ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და „პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს ხე-მცენარეების ჭრას" (გვ. 162), თუმცა აქვე მითითებულია, რომ ტყის ჭრის ნებართვები აღებულია, ასევე დოკუმენტში წარმოდგენილია ტყეკაფის უწყისი, რომლის მიხედვით ჭრას ექვემდებარება რამდენიმე სახეობის მცენარე. ამასთან, ჭრას დაქვემდებარებული სახეობებიდან დოკუმენტში მხოლოდ მურყანის რაოდენობაა მითითებული;
- **საპროექტო ტერიტორია ხვდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრებში,** რომელიც თავის მხრივ ემთხვევა „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ" (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმუხტის ქსელის" დამტკიცებულ საიტს (ბორჯომ-ხარაგაული GE0000010). გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ზემოქმედების შესაბამისობის შეფასება ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტზე, კერძოდ: არ არის განხილული სტანდარტული ფორმის მიხედვით ტერიტორიაზე არსებული ყველა ჰაბიტატი და სახეობა, მათზე შესაძლო ზემოქმედება და შემარბილებელი და, საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებები. ამასთან, არ ჩანს ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია, პერიოდი, ხანგრძლივობა, ფოტომასალა და ა.შ. აქვე აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში (ქვეთავში 2.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებში) არ არის მოხსენიებული „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ" (ბერნის) კონვენცია, ხოლო 2.1. ქვეთავში ტყის კოდექსის 1999 წლის ვარიანტია მითითებული, რაც საჭიროებს შესწორებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატიული ვარიანტები არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არ არის განხილული ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კუთხით. პირველი ალტერნატივის აღწერაში არ არის მოცემული ბიომრავალფეროვნების საკითხები, ასევე არ არის დასაბუთებული აღნიშნული ალტერნატივის მიხედვით საქმიანობის განხორციელებისას, რატომ ექნება ადგილი

სოციალურ ან/და ეკონომიკურ განსახლებას. ბიომრავალფეროვნების კუთხით ძირითადად მხოლოდ შერჩეული ალტერნატივის შესახებაა მოცემული მწირი და არასაკმარისი მონაცემები.

- გზშ-ის ანგარიშში არ არის განხილული ხიდის შეკეთების სამუშაოების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე ხიდის მშენებლობის პროცესში გამოწვეული ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე. ასევე დოკუმენტში არ არის შეფასებული სამშენებლო ბანაკის და სხვა ინფრასტრუქტურის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე და არ არის განხილული მათი განთავსების ტერიტორიების ალტერნატივები. გარდა ამისა არ არის მოცემული ნაპირსამაგრის მოწყობის დეტალები და მისი მოწყობის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე. დოკუმენტში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები ზოგადია და არ არის ზემოქმედების სახეების მიხედვით განხილული. ამასთან, ანგარიშში მითითებულია, რომ მდინარის კალაპოტში სამშენებლო სამუშაოები (გამწმენდ ნაგებობასთან მიმართებით) არ არის დაგეგმილი, თუმცა არ არის ინფორმაცია ამ კუთხით, ნაპირსამაგრ კონსტრუქციასთან დაკავშირებით და არ არის განხილული ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის ასპექტები, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების კუთხით;
- გზშ-ის ანგარიშში (ქვეთავი 19.4) აღნიშნულია, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 88 ისტორიული ძეგლი და მოცემულია ჩამონათვალი ცხრილის სახით (80 ერთეული). ასევე დოკუმენტში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიებზე და მათ სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული ან არქეოლოგიური ძეგლები დადგენილი არ არის და არც ვიზუალური შეფასებით შეინიშნება. შესაბამისად მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის“. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, დაბა აბასთუმნის ტერიტორიაზე მდებარეობს 127 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი, ხოლო ადიგენის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჯამში 190 ზე მეტი უძრავი ძეგლია აღრიცხული. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში მითითებული ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი shp ფაილების კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში (https://memkvidreoba.gov.ge) გადამოწმებისას დადგინდა, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა და მისი მიმდებარე ტერიტორია ნაწილობრივ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დარეჯანის მონასტერის (გის N6519, N26426, N26427) ინდივიდუალური დამცავი ზონის ვიზუალური დაცვის არეალში, ხოლო მთლიანად ექცევა ეროვნული კატეგორიის ძეგლის „ხიდი მდინარე ოცხეზეს“ (გის N6518) ინდივიდუალური დამცავი ზონის ვიზუალური დაცვის არეალში („კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება 300 მეტრის რადიუსით, ხოლო ეროვნული კატეგორიის ძეგლისთვის - 500 მეტრის რადიუსით). რაც შეეხება დაბა აბასთუმნის მთელ ტერიტორიაზე არსებულ წყალარინების სისტემებს, იგი თითქმის მთლიანად ექცევა სხვადასხვა ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონების ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებში, რაც არ არის

ასახული გზშ-ის ანგარიშში და არც მათზე სავარაუდო ზეგავლენაა შეფასებული. აქვე აღსანიშნავია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი „მდინარე ოცხეს ჯებირი“, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოსაა აგებული და თითქმის მთლიანად მიუყვება დაბა აბასთუმნის ტერიტორიას (იწყება „სურბ გევორქის" ეკლესიის მიმდებარედ და სრულდება აბასთუმნის ბოლოსკენ ყოფილი „სანატორიუმი ზეკარის" სიახლოვეს). პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები (ზემოაღნიშნული ზონების ნაწილში) უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან;

- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაცია ჩამდინარე წყლების გამწმენდის შედეგად მიღებული ნარჩენის (შლამის) შეგროვების, დამუშავების და შემდგომი მართვის შესახებ. გარდა ამისა, დოკუმენტში განხილული უნდა იქნეს ჩამდინარე წყლების გაწმენდის შედეგად მიღებული ნარჩენის (შლამის) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების საჭიროება;

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ერთი თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე